ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4508616

ნომერი: AR1681628

თარიღი : 16.05.2019

გაცემის თარიღი : 21.05.2019

გაცნობის თარიღი : 31.05.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი სარაჯიშვილი , N 39 , (ნაკვეთი N19/6) ; ქალაქი თბილისი , გამზირი სარაჯიშვილი, N39-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნოდარ არევაძე პ/ნ 01022000452
- თბილისი გლდანის ხევი კორ. 1 ბ. 84

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 16 მაისის NAR1681628 განცხადება, რომლითაც ითხოვთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას.

სამსახურში არსებული დოკუმენტაციის გამოკვლევისა და შესწავლის შედეგად დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 26 აგვისტოს N2786493 ბრძანებითქალაქ თბილისში, გამზირი სარაჯიშვილი, N 39, (ნაკვეთი N19/6) (ს/კ N01.11.05.019.024, მიწის ნაკვეთისფართობი 500 კვ.მ) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის(სამეწარმეო საქმიანობის ფართით) განსათავსებლად დამტკიცდამიწის ნაკვეთისსამშენებლოდ გამოყენების პირობები.

შემდეგაღნიშნულ ბრძანებაში შეტანილ იქნაცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 13 თებერვლის N4363904 ბრძანებით. კერძოდ, დაფიქსირდა საკადასტრო გეგმა (ს/კ N01.11.05.019.030 მიწის ნაკვეთისფართობი 580კვ.მ).

ამ ეტაპზე განმცხადებელი ითხოვს ცვლილების შეტანას აღნიშნულ ბრძანებაში. კერძოდ, ფუნქციურ დანიშნულებად მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სამეწარმეო საქმიანობის ფართით) დაფიქსირებას.

ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-19 დადგენილებით შევიდაცვლილება ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებისდამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებაში და ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცდადედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა. აღნიშნული N39-19 დადგენილების მუხლი 2-ის შესაბამისად წერილობითი დასტურის/ მშენებლობის ნებართვისგაცემის რომელიმესტადიის ან/და ტერიტორიული-სტრუქტურული დოკუმენტების დამუშავებისა ან/დამათში ცვლილებების შეტანის თაობაზეწინამდებარე დადგენილების ამოქმედებამდე დაწყებულადმინისტრაციულ წარმოებებთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება მიღებულიუნდა იქნესუფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში განცხადების წარდგენის დროსმოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თუ ამავე კანონმდებლობით სხვა რამარ არისგათვალისწინებული.

დაინტერესებული პირისმიერ მოთხოვნილია მიწის ნაკვეთისსამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებისშეტანა დამოთხოვნილი ცვლილება, იმდენად არსებითიხასიათისაა, რომმნიშვნელოვნად ცვლისმიღებული გადაწყვეტილების შინაარსს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას შეიტანოს ცვლილება 2016 წლის 26 აგვისტოს N2786493 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.